]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 173
31/01/2019

173-01-4-201901311618

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობის და ,,მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების'' პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტი/პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ემუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №74-ე დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობის და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო პროექტი/პროექტების შესარჩევად.

2.კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროქტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნინო თვალთვაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/

იოსებ ჩიჯავაძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/

დავით ნიშნიანიძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი.

გიორგი გიორგობიანი - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

ირაკლი გიორგაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი.

ვლადიმერ თორთლაძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დავით ჩხობაძე - ,,World Vision international'' იმერეთის სამხარეო განვითარების პროგრამების
მენეჯერი.

გვანცა თოთაძე - სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბ ,,თაობათა დიალოგის'' (RICDOG) კომუნიკაციის მენეჯერი.

თეონა ფურცხვანიძე - ,,ფიფლ ინ ნიდ''-ის (PIN) სოციალური პროექტების კოორდინატორი.

3.დროებითმა კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტი/პროექტები.

4.დროებითი კომისის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

5.დამტკიცდეს დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგნილი ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

7.დამტკიცდეს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგნილი მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N3-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

8.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ლ.კინწურაშვილი/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

9.ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
11.ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N1

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების დროებითი საკონკურსო კომისიის

დებულება

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კომისიის საქმიანობის წესს და გამარჯვებული პროექტი/პროექტების გამოვლენას.

1.2. კომისიის საქმიანობის წესს (დებულებას) ამტკიცებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

2. საკონკურსო პროექტის მიზანი

2.1 ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში ისეთი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას, შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და დასაქმებას.

2.2 „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება -გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

3.2. განაცხადების მიღებას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას.

3.3. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის.

4.დროებითი კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

4.1. დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

4.2. კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

4.3. დროებითი კომისია შედგება 9 (ცხრა) წევრისაგან.

4.4. დროებითი კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4.5. კომისის თავმჯდომარე უფლებამოსილია საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

4.6. დროებითი კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ წინამდებარე დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

4.7. დროებითი კომისის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ორი მესამედი.

4.8. დროებითი კომისიის წევრს არ აქვს უფლება კონკურსში მონაწილეობის მიზნით, წარადგინოს პროექტი/პროექტები.

4.9. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა დროებითი კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

4.10. დროებითი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტს/კონკურსანტებს.

4.11. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა.

4.12. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. კომისიის საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

კომისიის წევრები თავის საქმიანობას ახორციელებენ სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ.

6. დებულების შეცვლა

წინამდებარე დებულების ცვლილებებსა და დამატებებს, აგრეთვე დებულების ახალ რედაქციას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით.

7. დებულების მოქმედების ვადა

კომისიის წინამდებარე დებულება ძალაშია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების დამტკიცების დღიდან და მოქმედებს კომისიის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N2

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კონკურსის პროგრამა და პირობები

ინფორმაცია პროექტის შესახებ

1.პროგრამის განმახორციელებელი:

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

2.პრობლემის განსაზღვარა:

საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაცია და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი გზაა მათი დასაქმება, კვალიფიკაციის ამაღლება რაც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და მათ მიერ შემოსავლების გამომუშავებას. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების თვითრეალიზაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა.

3.პროგრამის მიზანი:

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას, დასაქმების შესაძლებლობის უზრუნველყოფას სხვებთან თანასწორ პირობებში. კვალიფიკაციის ამაღლებას და შემოსავლების გაზრდას.

4.მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები დასაქმების ხარჯზე შეიქმნიან/გაიუმჯობესებენ საარსებო მდგომარეობას, გაიზრდება მათი შემოსავალი. კვალიფიკაცის ამაღლების გზით ისინი შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების განვითარებას, მათ რეალიზებას. ამისათვის შეექმნებათ ხელსაყრელი პირობები.

5.პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი:

საქართველო, ქალაქი ქუთაისი.

6.პროგრამის სამიზნე ჯგუფი:

ქ.ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

7.წარმოდგენილი პროექტების ხანგრძლივობა:

განსახორციელებელი პროექტიის დაწყების თარიღი არაუადრეს 1 აპრილისა.
შერჩეული პროექტების განხორციელება უნდა დასრულდეს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

8. საკონკურსო პროექტის დაფინანსების ზღვრული ოდენობა:

პროექტის დაფინანსების ზღვრული ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 10 000 (ათი ათასს) ლარს.
აუცილებელია წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ღირებულების თანადაფინანსება იყოს არანაკლებ 10%-სა.

9.საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა.

9.1 ინფორმაცია განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ	
ორგანიზაციის სრული დასახელება	
სამართლებრივი ფორმა	
რეგისტრაციის თარიღი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	
ფაქტიური მისამართი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
საკონტაქტო პირი	
ვებ-გვერდი	
ელ. ფოსტა	

9.2 ინფორმაცია განმცხადებელი ფიზიკური პირის შესახებ	
განმცხადებლის სახელი და გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი (წელი,რიცხვი,თვე)	
რეგისტრაციის ადგილი	

საცხოვრებელი ადგილი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	

9.3 ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის დაწყების თარიღი	
პროექტის დასრულების თარიღი	
პროექტის ბენეფიციარები (რაოდენობა)	
პროექტის მთლიანი ღირებულება თანხის ოდენობა (თანხა ლარი)	
სოციალურ საკითხთა სამსახურიდან დასაფინანსებელი თანხის ოდენობა (თანხა ლარი)	
ორგანიზაციის მიერ გაწეული ფულადი თანამონაწილეობა (თანხა ლარი).	
ორგანიზაციის მიერ გაწეული არაფულადი თანამონაწილეობა	

9.4 <u>განმცხადებელი ფიზიკური პირის ან/და ორგანიზაციის გამოცდილება.</u>

მიუთითეთ, ბოლო სამი წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით განხორციელებული პროექტები, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

პროექტის სახელწოდება	განხორციელების წელი	შედეგები	დონორი (თუ არსებობს)	ბიუჯეტი, ლარი

<u>განმცხადებელი ორგანიზაციის შემთხვევაში აგრეთვე დააზუსტეთ ამ განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით :</u>

- შემოსავლის სხვა წყაროები, გარდა დონორის მხარდაჭერისა.
- ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება.
- თანამშრომელთა რაოდენობა (სრული, არასრული, მოხალისე)
- დაურთეთ ორგანიზაციის წინა წლის ბალანსის ასლი.

9.5 <u>პროექტის დასაბუთება და რელევანტურობა</u>

1.გთხოვთ, მიუთითოთ რომელ თემას შეეხება თქვენი საკონკურსო პროექტი:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმებას და შესაბამისად შემოსავლების გაზრდას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სათანადო ანაზღაურებით.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების კვალიფიკაციის ამაღლებას.

2.აღწერეთ თქვენი საკონკურსო პროექტი. პრობლემები, რომლის გადაჭრასაც ემსახურება თქვენი პროექტი და დეტალურად განგვიმარტეთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები. აღწერეთ რა კონკრეტული აქტივობები უნდა განხორციელდეს.

<u>9.6 პროექტის სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები.</u>

მიუთითეთ იმ ადამიანთა ჯგუფი/ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ თქვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

9.7 პროექტის განხორციელების გრაფიკი.

წარმოადგინეთ პროექტის აქტივობების განხორციელების გრაფიკი ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.
ცხრილი მოცემულია ნიმუშის სახით და პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხაზის დამატება/წაშლა.

N	ღონისძიება	თვეები		

9.8 პროექტის მოსალოდნელი შედეგები და გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაში.

აღწერეთ პროექტის გრძელვადიანი შედეგები და ის სავარაუდო ეფექტი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. მიუთითეთ, რა დადებით გავლენას იქონიებს პროექტი სამიზნე ჯგუფზე/ჯგუფებზე.

9.9 რისკების ანალიზი

მოკლედ აღწერეთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა და გარე რისკ ფაქტორები და მათი შემცირების მექანიზმები.

---

10. პროექტის ბიუჯეტის ფორმა

ცხრილი მოცემულია ნიმუშის სახით და პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხაზის დამატება. შევსებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

სავალდებულოა პროექტის ფარგლებში შრომის ანაზღაურების ხარჯების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები იყოს პროექტის ღირებულების არაუმეტეს 30% ფარგლებში.

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საქონლის/მომსახურების ფასი	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	მოთხოვნილი თანხა
აღჭურვილობა						
ჯამი:						
შრომის ანაზღაურება						
ქვე ჯამი:						
საქონელი და მომსახურება						
ქვე ჯამი:						
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება						
ქვე ჯამი:						
ჯამი:						

პროექტის წარდგენის თარიღი: ----------

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა: ----------

ორგანიზაციის ბეჭედი(მისი არსებობის შემთხვევაში) ----------

11.კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ქ. ქუთაისში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს, ასევე ქ.ქუთაისში რეგისტრირებულ და ქ.ქუთაისის ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებეზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- სასურველია საკონკურსო პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან) მუშაობის გამოცდილება;
- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის ქონა;
- პროექტის მართვის უნარი.

2. საკონკურსო განაცხადის ფორმა შევსებული უნდა იყოს სრულყოფილად და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.

3.საკონკურსო განაცხადი მიღებული უნდა იყოს მიღებისთვის დადგენილ ვადაში.

4.საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შერჩევას პრიორიტეტულობის კრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ მათ დეტალურ შეფასებას და შემოწმებას.

5. შესაძლებელია კოალიციური ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არასამთავრობო ორგანიზაციების) მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

12.საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურები:

1. დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინონ სოციალურ საკითხთა სამსახურში (მის: ნ.დუმბაძის ქ.N61)

2. დაგვიანებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.

3. ყველა განაცხადის გადამოწმება მოხდება სისრულის თვალსაზრისით.

4. წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება დადგენილი საკვალიფიკაციო და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

5. საკონკურსო განაცხადების წარდგენისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შემოწმებას. შემოწმების მიზანია წარმოდგენილი განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

13. საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა

1. პროექტის განაცხადი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ერთი ეგზემპლიარი, ბეჭდური სახით და ასევე ელექტრონული ვერსია (დანართი N2).

2. უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. (იურიდიული პირებისათვის).

3. ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი - განმცხადებელი ფიზიკური პირის შემთხვევაში.

5.სავალდებულოა ფიზიკური პირი განაცხადის შემოტანის დროს არ იძებნებოდეს მოვალეთა რეესტრში.

6. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო/არასახელმწიფო ინსტიტუტებთან ან/და მედია და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ამ ორგანიზაციების თანხმობის წერილი.

14. საკონკურსო განაცხადების შერჩევის, შეფასების პროცესი და გადაწყვეტილების შეტყობინება:

საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ.

დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე მიიღებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

1. კომისიის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ განაცხადებს. საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შერჩევის პროცედურების დროს მოწმდება:
   ა) არის თუ არა წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.
   ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით.
2. განაცხადი, რომელიც არ შეიცავს საკონკურსო განაცხადით დადგენილ სრულ მოთხოვნებს, არ განიხილება.

3. საკონკურსო განაცხადის გახსნის შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

4. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს კონკურსანტებს მოსთხოვოს წერილობითი განმარტება მათ განაცხადებში წარმოდგენილი ინფორმაციების დაზუსტების მიზნით.

5. საკონკურსო კომისია განაცხადების განხილვასა და შეფასებას უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში.

6. შეფასება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, 1 - 5 ქულამდე შეფასების სისტემით:

   ა) პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა:
   ბ) პროექტის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა;
   გ) განმცხადებელი პირის გამოცდილება და პროექტის მართვის უნარი:
   დ) პროექტის მდგრადობა;
   ე) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა:

7. კომისიის მიერ მიღებული დასკვნა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

8. ყველა კონკურსანტს, კონკურსში მიღებული შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით. საკონკურსო კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს **5** სამუშაო დღისა.

9. კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე- www.kutaisi.gov.ge

15. კონტროლი და ანგარიშგება

კონკურსის შედეგად გამოვლენილი დასაფინანსებელი პროექტი/პროექტების წარმომდგენელი ქ.ქუთაისში რეგისტრირებული ფიზიკური პირები ასევე ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ქ.ქუთაისის

ტერიტორიაზე მოქმედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ვალდებულნი არიან:

1. სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგინონ ყოველი ორი თვის ანგარიში პროექტის/პროექტების მიმდინარეობის შესახებ.
2. პროექტის დასრულების შემდეგ მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიში წარუდგინონ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის საბჭოს.

16. მნიშვნელოვანი ვადები:

კონკურსის გამოცხადება	2019 წლის 31 იანვარი.
საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა	2019 წლის 28 თებერვალი.
საკონკურსო განაცხადის შეფასება	2019 წლის 20 მარტი.

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

სოციალურ საკითხთა სამსახურის ელექტრონულ ფოსტაზე - socialuri.kutaisi@kutaisi.gov.ge

საკონტაქტო პირი - ხათუნა ხორხომელიძე +995595449930.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დანართი N3

ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული

კონკურსის პროგრამა და პირობები

ინფორმაცია პროექტის შესახებ

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება -გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების ქვეპროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას.

1.პროგრამის განმახორციელებელი:

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალურ საკითხთა სამსახური.

2.პრობლემის განსაზღვარა:

ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე რეგისტირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზაა მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა და მრავალშვილიანი ოჯახების წევრების დასაქმება, კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებას, რეალიზებას და მათ მიერ შემოსავლების გამომუშავებას. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს გაიუმჯობესონ სოციალური მდგომარეობა.

3.პროგრამის მიზანი:

მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის ხელშეწყობა, კონკურსის წესით შერჩეული პროექტების დაფინანსება/ თანადაფინანსება ხელს შეუწყობს მოსახლეობის გააქტიურებას, წამოიწყონ ან გააფართოვონ საკუთარი ბიზნესი, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დასაქმებას, სოციალური ფონის გაუმჯობესებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. შერჩეულმა ორგანიზაციამ პროგრამის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს:

1.მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელთა გადამზადება ბიზნეს გეგმების წერის მიმართულებით.

2.მინიმუმ 3 (სამი) საუკეთესო მიკრო/მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტის შერჩევის კონკურსის ორგანიზება და დაფინანსება.

3.დაფინანსებული პროექტების განხორციელების მონიტორინგი.

4.უზრუნველყოს მრავალშვილიანი ოჯახების მიერ წარმოდგენილი მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება-გადაიარაღებისათვის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა/კონსულტირება.

4.მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად, მრავალშვილიანი ოჯახები დასაქმების ხარჯზე შეიქმნიან/გაიუმჯობესებენ ეკონომიურ მდგომარეობას, გაიზრდება მათი შემოსავალი. კვალიფიკაციის ამაღლების გზით ისინი შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების განვითარებას, გაუმჯობესდება სოციალური მდგომარეობა.

5.პროგრამის განხორციელებისგეოგრაფიულიარეალი:

საქართველო, ქალაქი ქუთაისი.

6.პროგრამის სამიზნეჯგუფი:

ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები.

7.წარმოდგენილი პროექტების ხანგრძლივობა:

განსახორციელებელი პროექტის დაწყების თარიღი - **არაუადრეს 2019 წლის 1 აპრილისა.**
შერჩეული პროექტის განხორციელება უნდა დასრულდეს **31 დეკემბერი 2019 წელი.**

8. საკონკურსო პროექტის დაფინანსების ზღვრული ოდენობა:

პროექტის დაფინანსების ზღვრული ოდენობა შეადგენს არაუმეტეს --33 000 ლარს.
აუცილებელია წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ღირებულების თანადაფინანსება იყოს არანაკლებ 10/%

9.საკონკურსოპროექტისგანაცხადისფორმა.

9.1 ინფორმაცია განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ	
ორგანიზაციის სრული დასახელება	
სამართლებრივი ფორმა	
რეგისტრაციის თარიღი	
საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	

ფაქტიური მისამართი	
ორგანიზაციის ხელმძღვანელი	
საკონტაქტო პირი	
ვებ-გვერდი	
ელ. ფოსტა	

9.2 ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სახელწოდება	
პროექტის დაწყების თარიღი	
პროექტის დასრულების თარიღი	
პროექტის ბენეფიციარები (რაოდენობა)	
პროექტის მთლიანი ღირებულება თანხის ოდენობა (თანხა ლარი)	
სოციალურ საკითხთა სამსახურიდან დასაფინანსებელი თანხის ოდენობა (თანხა ლარი)	
ორგანიზაციის მიერ გაწეული ფულადი თანამონაწილეობა	
ორგანიზაციისმიერგაწეულიარაფულადითანამონაწილეობა	

9.3 <u>განმცხადებელი ორგანიზაციის გამოცდილება.</u>

მიუთითეთ, ასეთის არსებობის შემთხვევაში ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები, ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

პროექტის სახელწოდება	განხორციელების წელი	შედეგები	დონორი (თუ არსებობს)	ბიუჯეტი, ლარი

<u>განმცხადებელი ორგანიზაციის შემთხვევაში აგრეთვე დააზუსტეთ ამ განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით :</u>

- შემოსავლის სხვა წყაროები, გარდა დონორის მხარდაჭერისა.
- ორგანიზაციისეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება.
- თანამშრომელთა რაოდენობა (სრული, არასრული, მოხალისე)
- დაურთეთ ორგანიზაციის წინა წლის ბალანსის ასლი.

9.4 <u>პროექტის დასაბუთება და რელევანტურობა</u>

1. წარმოადგინეთ პროგრამის განხორციელების თქვენეული ხედვა, რომელიც მოიცავს ბენეფიციართა გადამზადების, დაფინანსების, ბიზნესის მდგრადობის უზრუნველყოფის და მონიტორინგის ელემენტებს.

---

2. წარმოადგინეთ ბიზნეს პროექტების შერჩევის წესი და პირობები, რომელიც უნდა მოიცავდეს შერჩევის პირობებისა და კრიტერიუმების აღწერას.

<u>9.5 პროექტის სამიზნე ჯგუფი/ჯგუფები.</u>

მიუთითეთ იმ ადამიანთა ჯგუფი/ჯგუფები, რომლებიც კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ თქვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

9.6 პროექტის განხორციელების გრაფიკი.

წარმოადგინეთ პროექტის აქტივობების განხორციელების გრაფიკი ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით.

ცხრილი მოცემულია ნიმუშის სახით და პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხაზის დამატება/წაშლა.

N	ღონისძიება	თვეები		

9.7 პროექტის მოსალოდნელი შედეგები და გავლენა გრძელვადიან პერსპექტივაში.

აღწერეთ პროექტის გრძელვადიანი შედეგები და ის სავარაუდო ეფექტი, რაც მოჰყვება პროექტის წარმატებით განხორციელებას. მიუთითეთ, რა დადებით გავლენას იქონიებს პროექტი სამიზნე ჯგუფი/ჯგუფებზე.

9.8 რისკების ანალიზი

მოკლედ აღწერეთ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული შიდა და გარე რისკფაქტორები და მათი შემცირების მექანიზმები.

---

10. პროექტის ბიუჯეტის ფორმა

ცხრილი მოცემულია ნიმუშის სახით და პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია ხაზის დამატება. შევსებული უნდა იყოს ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

სავალდებულოა პროექტის ფარგლებში შრომის ანაზღაურების ხარჯების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხები იყოს პროექტის ღირებულების არაუმეტეს 30% ფარგლებში.

სამუშაოს/მომსახურების დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საქონლის/მომსახურების ფასი	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	მოთხოვნილი თანხა
აღჭურვილობა						
ჯამი:						
შრომის ანაზღაურება						
ქვე ჯამი:						
საქონელი და მომსახურება						
ქვე ჯამი:						
მიკრო გრანტის მოცულობა						
ქვე ჯამი:						
ჯამი:						

პროექტის წარდგენის თარიღი: ----------

ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა: ----------

ორგანიზაციის ბეჭედი(მისი არსებობის შემთხვევაში) ----------

11. კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებen

   შემდეგ კრიტერიუმებს:

-საკონკურსო პროგრამის სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება;
- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსის ქონა;
- პროექტის მართვის უნარი.
- ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების გამოცდილება

2.საკონკურსო განაცხადის ფორმა შევსებული უნდა იყოს სრულყოფილად და თან ერთვოდეს საჭირო დოკუმენტაცია.

3.საკონკურსო განაცხადი მიღებული უნდა იყოს მიღებისთვის დადგენილ ვადაში.

4.საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას განაცხადის განუხილველად დატოვების შესახებ, ხოლო საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის შემთხვევაში, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შერჩევას პრიორიტეტულობისკრიტერიუმების მიხედვით და შემდეგ მათ დეტალურ შეფასებას და შემოწმებას.

5. შესაძლებელია კოალიციური ერთი ან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხილვა.

12. საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურები:

- დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საკონკურსო განაცხადი უნდა წარმოადგინონ სოციალურ საკითხთა სამსახურში (მის: ნ.დუმბაძის ქ.N61).
- დაგვიანებით შემოსული განაცხადები არ განიხილება.
-ყველა განაცხადის გადამოწმება მოხდება სისრულის თვალსაზრისით.
- წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება დადგენილი საკვალიფიკაციო და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
-საკონკუსო განაცხადების წარდგენისათვის განკუთვნილი დროის მოწურვის შემდეგ, კომისია იწყებს საკონკურსო განაცხადების შემოწმებას.
- შემოწმების მიზანია წარმოდგენილი განაცხადების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

13.საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა

-პროექტის განაცხადი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) ერთი ეგზემპლიარი, ბეჭდური სახით დაასევე ელექტრონული ვერსია (დანართი N).

- უახლესი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.(იურიდიული პირებისათვის)

- ცნობა შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ.

-იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ფარგლებში იგეგმება სახელმწიფო ინსტიტუტებთანან/და მედია და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თანამშრომლობა, ამ ორგანიზაციების თანხმობის წერილი.

14.საკონკურსო განაცხადების შერჩევის, შეფასების პროცესი და გადაწყვეტილების შეტყობინება:

საკონკურსო განაცხადების შერჩევის ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, წარმოდგენილი დოკუმენტები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ. დაფინანსება/თანადაფინანსების გაცემის თაობაზე, საბოლოო გადაწყვეტილებას კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი დასკვნის საფუძველზე მიიღებს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

1.კომისიის წევრები განიხილავენ წარმოდგენილ განაცხადებს. საკონკურსო განაცხადთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით, შერჩევის პროცედურების დროს მოწმდება:

ა)არის თუ არა წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადით გათვალისწინებული ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია.

ბ) არის თუ არა ყველა საჭირო დოკუმენტი წარმოდგენილი შესაბამისი ფორმის დაცვით.

2. განაცხადი, რომელიც არ შეიცავს საკონკურსო განაცხადით დადგენილ სრულ მოთხოვნებს, არ განიხილება.

3. საკონკურსო განაცხადის გახსნის შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

4. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს კონკურსანტებს მოსთხოვოს წერილობითი განმარტება მათ განაცხადებში წარმოდგენილი ინფორმაციების დაზუსტების მიზნით.

5. საკონკურსო კომისია განაცხადების განხილვასა და შეფასებას უზრუნველყოფს დადგენილ ვადაში.

6. შეფასება განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, 1 - 5 ქულამდე შეფასების სისტემით:

ა) ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელების გამოცდილება

ბ) მოიცავს თუ არა განაცხადი პროცესის შემადგენელ სხვადასხვა ეტაპებს (გადამზადება, დაფინანსება, განხორციელება, მონიტორინგი)

გ) ბიზნეს პროექტების შერჩევის კრიტერიუმები და წესი

დ) პროექტების მართვის გამოცდილება

6. კომისიის მიერ მიღებული დასკვნა ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

7. ყველა კონკურსანტს, კონკურსში მიღებული შედეგების შესახებ ეცნობება სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წერილობით. საკონკურსოკომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს **5** სამუშაო დღისა.

8. კონკურსის შედეგები საჯაროდ ქვეყნდება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე-www.kutaisi.gov.ge

15.კონტროლი და ანგარიშგება

კონკურსის შედეგად გამოვლენილი ორგანიზაცია ვალდებული იქნება:

ა) სოციალურ საკითხთა სამსახურში წარმოადგინოს ყოველი ორი თვის ანგარიში პროექტის/პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

16.მნიშვნელოვანი ვადები:

კონკურსის გამოცხადება	2019 წლის 31 იანვარი
საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადა	2019 წლის 28 თებერვალი
საკონკურსო განაცხადის შეფასება	2019 წლის 20 მარტი

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით სოციალურ საკითხთა სამსახურის ელექტრონულ ფოსტაზე socialuri.kutaisi@kutaisi.gov.ge.

საკონტაქტო პირი - მეგი გასვიანი +995 595 62 50 55

ეკა არველაძე +995 599 21 57 52

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი